

რეკომენდაციები

როგორ ავიცილოთ თავიდან განმცხადებლების მიერ დაშვებული ტიპიური შეცდომები

(ევრო კავშირის და CBC-ის სხვა პროგრამების გამოცდილებაზე დაყრდნობით)

განაცხადის ფორმის შევსებამდე გთხოვთ ეს რეკომენდაციები ყურადღებით წაიკითხოთ. თქვენი განაცხადის შემოწმება და შეფასდება მოხდება ორ ეტაპად მმართველი (დამკვეთი) ორგანოს და გარე შემფასებლების მიერ: i) ადმინისტრაციული და შესარჩევი შემოწმება II) განაცხადის ხარისხის შეფასება.

!!თუ შეფასების პროცესის ნებისმიერ ეტაპზე აღმოჩნდება, რომ განაცხადის, რომელიმე კომპონენტი (განმცხადებელი, პარტნიორი ან ქმედება) არ შეესაბამება შესარჩევ კრიტერიუმებს, ისე როგორც ეს სახელმძღვანელოშია მითითებული, ამ მიზეზის გამო განაცხადი უარყოფილი იქნება.

იმისათვის რომ გაიაროთ 1ეტაპი ან (ადმინისტრაციული და შესარჩევი შემოწმება) გთხოვთ დარწმუნდით, რომ აკმაყოფილებთ ყველა ადმინისტრაციულ მოთხოვნას, კერძოდ:

1. განაცხადის სწორი ფორმა გამოყენებული გაქვთ საგრანტო
2. განცხადება განმცხადებელს შევსებული აქვს
3. დაბეჭდილი საპროექტო წინადადება ინგლისურად თარგმნილი და
4. რაოდენობა მოთხოვნის მიხედვით ერთი ორიგინალი და ასლების
5. ელექტრონული ვერსია (CD-rom), რომელიც უნდა შეიცავდეს ქალაქის ვერსიის მსგავს სრულ განაცხადს ერთ ფაილში საპროექტო წინადადების
6. შევსებული, საგანცხადო პაკეტში მოყვანილი ფორმის მსგავსად ხელმოწერილი და ბეჭედ დარტყმული ფორმა, რომელიც უნდა შეიცავდეს მანდატს/ პარტნიორობას თითოეული თანა-განმცხადებლის
7. წარდგენილი თანდართული ბიუჯეტი, აგრეთვე შეამოწმეთ არის თუ არა ბიუჯეტი არითმეტიკულად სწორი, (რათა თავიდან აიცილოთ შეცდომები, გამოიყენეთ ფორმულები ბიუჯეტის ექსელის ფაილში. ყველა ციფრი უნდა იყოს მოცემული ორ ათწილადში (მაგ: 580,97 და არა 580,975). ბიუჯეტი არ უნდა შეიცავდეს დაუშვებელ ხარჯებს მოთხოვნილ ფორმატში და ევროებში
8. დასრულებული და მოთხოვნილ ფორმატში თანდართული ლოგიკური ჩარჩო სრულად შევსებული,

აგრეთვე დარწმუნდით რომ:

- ჩაეტიეთ განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაში

- კრიტერიუმს შეესაბამებით ჩამონათვალის ყველა
- თანამიმდევრობა სწორია განაცხადში თავების
- შევსებულია განაცხადის ყველა სექცია
- ერთ კონვერტში – ცალკე კონვერტით გაგზავნილი დამატებითი დოკუმენტები ყველა დოკუმენტი მოთავსებულია დარეგისტრირდება სხვა ნომრით, როგორც ცალკე საპროექტო წინადადება როცა განაცხადი ფოსტით იგზავნება,
- მასზე დატანილი ყველა ინფორმაცია უნდა იყოს სწორი სახელმძღვანელოში მოყვანილი მოთხოვნების შესაბამისად
- და/ან სხვა დოკუმენტები არის ხელმოწერილი და ბეჭედდარტყმული საპროექტო წინადადება, ბმულები, უფლებამოსილი პირის მიერ. ფაქსიმილე არ მიიღება!
- აპლიკანტის საკონტაქტო ინფორმაცია არის სწორი მაგ: მისამართი, ელექტრონული ფოსტა და ტელეფონის ნომერი. განაცხადში მოცემული წამყვანი

იმისათვის რომ გაიაროთ **შესარჩევი** შემოწმება, გთხოვთ შეამოწმეთ რომ:

1. იყოს შესაბამისად დასრულებული. განაცხადის ფორმის ჩამონათვალი
 2. სექცია XXX–ში მოყვანილ შესარჩევ კრიტერიუმებს თქვენი ორგანიზაცია აკმაყოფილებს
 3. აკმაყოფილებს სექცია XXX–ში მოყვანილ შესარჩევ კრიტერიუმებს თქვენი პარტნიორი(ები)
 4. ასეთის არსებობის შემთხვევაში, აკმაყოფილებს სექცია XXX–ში მოყვანილ შესარჩევ კრიტერიუმებს თქვენი აფილირებული პირი(ები),
 5. პარტნიორები დარეგისტრირებული არიან და მდებარეობენ პროგრამის შესაბამის რეგიონებში ლიდერი პარტნიორი და
 6. დოკუმენტები წარდგენილია სახელმძღვანელოში გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად ქვემოთ მოყვანილი თანდართული
- განმცხადებლის დებულებები
 - განმცხადებლის და აფილირებული პირის(ების) ორგანიზაციების დებულებები ან დადგენილებები
 - ანგარიში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განმცხადებლის გარე აუდიტის
 - განმცხადებლების მიერ ხელმოწერილი იურიდიული პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ფაილი, მოთხოვნის შესაბამისად თანდართული დოკუმენტების შესაბამისად შევსებული და
 - (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ფინანსური იდენტიფიკაციის ფორმა
 - ანგარიშების ასლი (ასეთს არსებობის შემთხვევაში) განმცხადებლის უახლესი

!! მხოლოდ ადმინისტრაციული და შესარჩევი შემოწმების შემდეგ გადავა თქვენი განაცხადი მისი ხარისხის შეფასების ეტაპზე

ეტაპი 2 :განაცხადის ხარისხის შეფასება

განაცხადის ხარისხი, შემოთავაზებული ბიუჯეტის ჩათვლით, განმცხადებლების და აფილირებული პირის(ების) კომპეტენცია შეფასდება სახელმძღვანელოში მოცემული შეფასების ცხრილის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. არსებობს შეფასების კრიტერიუმის ორი ტიპი: შერჩევა და გრანტის მინიჭების კრიტერიუმი.

შერჩევის კრიტერიუმები გვეხმარება განმცხადებლის (ების) და აფილირებული პირის(ების) სამოქმედო და განმცხადებლის ფინანსური კომპეტენციის შეფასებაში, რომ მათ:

- გააჩნიათ სტაბილური და საკმარისი ფინანსური წყაროები რათა შეძლონ საქმიანობის შენარჩუნება მთელი საპროექტო წინადადების განხორციელების დროს , და სადაც ეს შესაძლებელი იქნება, მიიღონ მონაწილეობა მათ დაფინანსებაში;
- შემოთავაზებული ქმედების წარმატებით განხორციელებისათვის აქვთ შესაბამისი მართვის პოტენციალი, პროფესიონალური კომპეტენცია და კვალიფიკაცია . ეს აგრეთვე ეხება განმცხადებლის(ების) ნებისმიერ აფილირებულ პირს(ებს).

გრანტის მინიჭების კრიტერიუმები გვეხმარება განცხადების ხარისხის შეფასებაში მის მიზნებზე და პრიორიტეტებზე დაყრდნობით. აგრეთვე ამ კრიტერიუმის მიხედვით ხდება გრანტის მინიჭება იმ პროექტებზე, რომლებიც ახდენენ საკონკურსო საპროექტო წინადადებების მთლიანი ეფექტურობის მაქსიმალიზაციას. ისინი გვეხმარებიან იმ განაცხადების შერჩევაში, რომლებსაც დამკვეთი ორგანო მიიჩნევს მისი პრიორიტეტების და მიზნების შესაბამისად. ისინი მოიცავენ ქმედების აქტუალობას, საკონკურსო საპროექტო წინადადებების მიზნებთან თანხვედრას, არის ხარისხიანი, გააჩნია მოსალოდნელი შედეგი, მდგრადობა და არის რენტაბელური.

შერჩევის კრიტერიუმები:

1.ფინანსური და სამოქმედო პოტენციალი

- 1.1. აქვთ განმცხადებლებს და, ასეთის არსებობის შემთხვევაში, აფილირებულ პირს(ებს) პროექტის მართვის საკმაო გამოცდილება?
- 1.2. აქვთ განმცხადებლებს და, ასეთის არსებობის შემთხვევაში, აფილირებულ პირს(ებს) საკმაო ტექნიკური გამოცდილება? (განსაკუთრებით გადასაჭრელი საკითხების ცოდნაში)
- 1.3. აქვთ განმცხადებლებს და, ასეთის არსებობის შემთხვევაში, აფილირებულ პირს(ებს) მართვის საკმაო პოტენციალი? (თანამშრომლების, აღჭურვილობის და სამოქმედო ბიუჯეტის მართვის ჩათვლით).
- 1.4. აქვს თუ არა განმცხადებელს სტაბილური და საკმაო ფინანსური წყაროები?

!! გახსოვდეთ:

რადგან ხდება, როგორც განმცხადებლების და ასევე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, აფილირებული პირის(ების) კონპეტენტურობის შეფასება უნდა გახსოვდეთ რომ:

- განმცხადებლებს და აფილირებულ პირს(ებს) გააჩნიათ პროექტის მართვის გამოცდილება

- განმხადებლებს და აფილირებულ პირს(ებს) აქვთ საკმაო ცოდნა და გამოცდილება გადასაჭრელ საკითხებში.
- განმხადებლებს და აფილირებულ პირს(ებს) გააჩნიათ საკმაო მართვის პოტენციალი
- განმხადებლებს და აფილირებულ პირს(ებს) გააჩნიათ სტაბილური და საკმარისი ფინანსური წყაროები

2. ქმედების აქტუალურობა

- 2.1. რამდენად აქტუალურია საპროექტო წინადადება საკონკურსო წინადადებების მიზნებთან და პრიორიტეტებთან მიმართებაში?
- 2.2. რამდენად აქტუალურია საპროექტო წინადადება ქვეყნის(ების) ან რეგიონის(ების) კონკრეტულ საჭიროებებთან მიმართებაში (ევროკავშირის სხვა ინციატივებთან სინერჯის და გაორმაგების (დუბლირების) თავიდან აცილების ჩათვლით)?
- 2.3. რამდენად მკაფიოდაა განსაზღვრული და სტრატეგიულად სწორად არის შერჩეული ჩართული პირები (ბოლო ბენეფიციარები, მიზნობრივი ჯგუფები)? არის თუ არა მათი საჭიროებები მკაფიოდ განსაზღვრული და შესაბამისად აკმაყოფილებს თუ არა საპროექტო წინადადება ამ საჭიროებებს?
- 2.4. არის თუ არა საპროექტო წინადადება საზღვრისპირა ხასიათის მატარებელი? (აკმაყოფილებს თუ არა სულ მცირე შემდეგ კრიტერიუმებს: (1) ერთობლივი განვითარება, (2) ერთობლივი განხორციელება, (3) კადრების ერთობლივი შერჩევა, (4) ერთობლივი დაფინანსება)

ტიპიური შეცდომები

- პროექტი არ შეესაბამება შერჩეულ მიზნებსა და პრიორიტეტს(ებს). ქმედების მიზნები არ მოდის თანხვედრაში პროგრამის მიზნებთან და პრიორიტეტებთან(ებთან) .
- პროექტი და შემოთავაზებული სამოქმედო სფერო არ შეესაბამება აღწერილ პრობლემებს. პროექტი არ შეიცავს პასუხებს შესაბამის ტერიტორიაზე მოქმედი მიზნობრივი ჯგუფების მოცემულ პრობლემებზე და საჭიროებებზე.
- პროექტში აღწერილი რეალურად არსებული პრობლემა(ები) არ არის გამყარებული შესაბამისი კვლევის/ ანალიზის ანგარიშით ან სტატისტიკური მონაცემებით განსახილველი სფეროდან;
- მიზნობრივი ჯგუფის და ბოლო ბენეფიციარის(ების) საჭიროებები არ არის რეალური და კარგად აღწერილი, ისევე როგორც, პროექტის მიერ მათ მდგომარეობის გამოწროების გზები/ პრობლემების გადაჭრა.
- ქმედების საზღვრისპირა ზემოქმედება უნდა იყოს ძლიერი—ეს არის თითოეული საპროექტო წინადადების გადამწყვეტი კომპონენტი, რომლის შეფასების საფუძველზეც უნდა მოხდეს გრანტის მინიჭების საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

გრანტის მინიჭების კრიტერიუმები

3. ქმედების ეფექტურობა და მისი განხორციელებადობა

- 3.1. არის შემოთავაზებული საქმიანობა შესაბამისი, პრაქტიკული, მოსალოდნელი შედეგების და მიზნების შესაბამისი?
- 3.2. სამოქმედო გეგმა არის მკაფიო და რეალურად განხორციელებადი?
- 3.3. შეიცავს საპროექტო წინადადება ობიექტურ შემოწმებაზე დაქვემდებარებული ქმედების შედეგების მაჩვენებლებს? არის ნებისმიერი შეფასება დაგეგმილი?
- 3.4. არის თანა-განმცხადებლის(ების) და აფილირებული პირის(ების) ქმედებაში ჩართულობა და მონაწილეობა დამაკმაყოფილებელი?

ტიპიური შეცდომები :

- საქმიანობა არ შეესაბამება მოცულობას და შედეგებს
- შედეგები არ ადასტურებს მიზნების მიღწევას
- სამოქმედო გეგმა განუხორციელებადია (რამოდენიმე ქმედება დაგეგმილი ერთსა და იმავე დროს, არანაირი დრო არ არის გამოყოფილი სატენდერო პროცედურებისთვის და ა.შ).
- პროექტის მართვა არ არის აღწერილი,გამოტოვებულია მონიტორინგის სისტემა და შეფასებითი საქმიანობა
- მაჩვენებლები არ არის სათანადოდ განსაზღვრული/ გაზომილი
- სამოქმედო გეგმა არ არის მკაფიო და არ შეესაბამება საქმიანობას
- შემოთავაზებული მაჩვენებლები არ არის მისაღები
- პარტნიორობა არ არის ძლიერი რადგან ძალიან ცოტა მტკიცებულებაა იმისა, რომ პროექტი:
 - იყო ერთობლივად მომზადებული–პარტნიორებმა დასაწყისიდანვე, პროექტის იდეის გამოჩენისთანავე უნდა ითანამშრომლონ
 - იქნება ერთობლივად განხორციელებული–პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობა უნდა განხორციელდეს პარტნიორთა შორის თანამშრომლობით, მოვალეობების გადანაწილება უნდა თანაბრად ხდებოდეს.
 - ყავს ერთობლივი კადრები– თითოეული პარტნიორის პროფესიონალი კადრი უნდა თანამშრომლობდეს პროექტის განხორციელების დროს, მაგრამ არ უნდა ხდებოდეს პოზიციების გაორმაგება
 - არის ერთობლივად დაფინანსებული–პარტნიორებს შორის ხარჯები და საკუთარი ფინანსური კონტრიბუციები თანაბრად უნდა იყოს გადანაწილებული

4.ქმედების მდგრადობა

4.1. შეიძლება ამ ქმედებას ჰქონდეს მატერიალური ზემოქმედება სამიზნე ჯგუფებზე?

4.2. შეიძლება საპროექტო წინადადებას ქონდეს მულტიპლიკატორის (გავრცელების) ეფექტი? (გავრცელების (რეპლიკაციის) ფარგლების, გაფართოების და ინფორმაციის გაზიარების ჩათვლით)

4.3. არის თუ არა შემოთავაზებული ქმედების მოსალოდნელი შედეგები მდგრადი ფინანსურად? (როგორ მოხდება საქმიანობის დაფინანსება მას შემდეგ რაც შეწყდება დაფინანსება?)

– ინსტიტუციონალურად?(იქნება თუ არა ის სტრუქტურები, რომელებიც საქმიანობის გაგრძელებას უწყობს ხელს, ადგილზე ქმედების დამთავრების დროს? იქნება თუ არა ადგილზე საქმიანობის შედეგად შექმნილი ადგილობრივი „საკუთრება“ ?)

–პოლიტიკურ დონეზე? (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (როგორი იქნება ქმედების სტრუქტურული ზემოქმედება–გამოიწვევს ის კანონმდებლობის, ქვევის კოდექსის, მეთოდების გაუმჯობესებას?)

– ეკოლოგიური თავლსაზრისით? (ასეთის არსებობის შემთხვევაში)იქნება ქმედებას უარყოფითი/დადებითი ზემოქმედება გარემოზე?)

ტიპიური შეცდომები:

- მიზნობრივ ჯგუფებზე ზემოქმედება და კომუნიკაციები არ არის ნათლად განსაზღვრული
- საპროექტო წინადადების ფარგლებში განხორციელებულ საზღვრისპირა თანამშრომლობას არ შეაქვს წვლილი არსებული პრობლემების გადაჭრაში– პრობლემებს უნდა ქონდეს საზღვრისპირა ხასიათი და თითოეული პარტნიორი ცალკე ვერ შეძლებს მდგომარეობის გამოსწორებას ადგილობრივ დონეზე

- შეზღუდული პლაცდარმი ან გავრცელების (მულტიპლიკატორის) ეფექტი
- მოსალოდნელი შედეგების მდგრადობა საკმაოდ არ არის ნაჩვენები

5. ბიუჯეტი და ქმედების რენტაბელობა

5.1. არის საქმიანობა შესაბამისად ასახული ბიუჯეტში?

5.2. არის სავარაუდო ხარჯებს და მოსალოდნელ შედეგებს შორის თანაფარდობა დამაკმაყოფილებელი?

ტიპიური შეცდომები

- ზოგიერთი საქმიანობა არ არის პროექტის ბიუჯეტში ასახული ან არის რთულად ამოსაცნობი
- ბიუჯეტის ცხრილის ფარგლებში თანხის შეუთავსებლობა.
- მოსალოდნელ შედეგებსა და ბიუჯეტის ხარჯებს შორის თანაფარდობა არ არის დამაკმაყოფილებელი
- ბიუჯეტი არ არის რეალური – მოსალოდნელი შედეგებისთვის ძალიან მაღალი/ძალიან დაბალი ხარჯებია გათვალისწინებული
- შეტანილია არასაჭირო/ დაუშვებელი ხარჯები
- შეტანილი ხარჯები/ ტარიფები არ ასახავს რეგიონალური დონის ხარჯებს
- ბიუჯეტი არ არის გამჭირვალე (აკლია შესაბამისი განმარტებები)

ეტაპი 3: განმცხადებლების და პარტნიორების შესარჩევი შემოწმება

ევრო კომისიის მიერ მოთხოვნილ თანდართულ დოკუმენტებზე დაფუძნებული შესარჩევი შემოწმება მოხდება მხოლოდ იმ განაცხადებზე, რომლებიც ქულების მიხედვით წინასწარ იყვნენ შერჩეული არსებული ფინანსური კონვერტის ფარგლებში.

- განმცხადებლის განაცხადება ჯვარედინად გადამოწმდება განმცხადებლის მიერ მოწოდებული თანდართული დოკუმენტების საშუალებით. თუ რომელიმე დოკუმენტი აკლია მოთხოვნილ თანდართულ დოკუმენტებს ან მათსა და განაცხადებს შორის არის რაიმე სახის შეუსაბამობა, ამან, ამ ერთადერთი მიზეზით, შეიძლება გამოიწვიოს განაცხადის უარყოფა.
- განმცხადებლის, პარტნიორების მონაწილეობის უფლება და ქმედება შემოწმდება სახელმძღვანელოში დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით. ზემოთხსენებული შემოწმების საფუძველზე თუ საჭირო გახდება ნებისმიერი უარყოფილი განაცხადი შეიცვლება სარეზერვო ნუსხაში საუკეთესო ადგილზე განთავსებული განაცხადით, რომელიც არსებულ ფინანსურ კონვერტს უკეთ შეესაბამება, შემდეგ მოხდება ამ ჩანაცვლებული განაცხადის შესარჩევი შემოწმება, მისი განმცხადებლის და პარტნიორების შესაბამისობის გათვალისწინებით.

თუ გსურთ მეტი შეიტყოთ იმ ტიპიური შეცდომების შესახებ, რომელსაც უშვებს განმცხადებელი შეგიძლიათ იხილოთ ლექცია „როგორ დავეწროთ ევრო კავშირის საპროექტო წინადადებები პროფესიონალურ დონეზე“ პროფესორი დოქტორ სტივ ქვიერი. 2011 წლის 8 ნოემბერი

<http://www.youtube.com/watch?v=6n6V-Uto1E>

ევროკავშირის თარგმანი და შემუშავების რესურსები

http://ec.europa.eu/translation/index_en.htm